

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

აქტივები	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
ფული და ფულის ეკვივალენტები	260 335	31 450
სავაჭრო მოთხოვნები	182 469	130 923
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	17 495	-
მარაგები	2 174 175	1 539 464
- მზა პროდუქცია	2 174 175	1 539 464
სხვა მომდინარე აქტივები	50 852	43 145
ძირითადი საშუალებები	90 536	150 571
სულ აქტივები	2 775 862	1 895 553
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1 255 991	549 392
მომდინარე სასესიო ვალდებულებები	170	62 760
სხვა ვალდებულებები	25 752	22 045
სულ ვალდებულებები	1 281 913	634 197
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 493 749	1 261 156
სულ საკუთარი კაპიტალი	1 493 949	1 261 356
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	სააწარმოებო პერიოდი	
ნეტო ამონაგები	2 782 844	
საქონლის გაყიდვიდან	2 782 844	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 106 746)	
საწესი მარაგები	(1 539 464)	
მარაგების შეყიდვა	(2 741 457)	
საბოლოო მარაგები	2 174 175	
საერთო მოგება	676 098	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(204 690)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(25 015)	
ოჯაროს ხარჯი	(23 400)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(36 529)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(289 634)	
საოპერაციო მოგება	386 464	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(135 956)	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	44 200	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	294 708	
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	294 708	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მილიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	294 708	

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 261 356
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	232 593
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს	1 493 949

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

წმინდა ფულადი სახსრები საიპერაგიო საქმიანობიდან	საანგარიშებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	

შპს „ორისაბა“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

„ორისაბა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 06,02,2011 ს/ნ 202455761----. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩეღურეთის რ-ნი, აკ.წერეთლის გამზ.# 12ა ბ.25, ფაქტიური მისმართი ქ. თბილისი, ბახტრიონოს # 11 კომპანიის დამფუძნებელე არის გიორგი აფხაიძე 100%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გათბობის და ჰაერის კონდიცირების სისტემების გაყიდვა

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და
სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ

აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი

10-12 პროცენტი

სატრანსპორტო საშუალება

20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინი სასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ან აზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭიროდ ანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ან

აზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭიროდ ანაზარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინაწლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხადაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველარისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მას ზენაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულებებისა და სხვა ფინანსური მოვალეობების ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება.

საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის, ისე,

რომ წარმოიქმნება მუდმივისაპროცენტო განაკვეთი ვალდებულების და უფარავინაშის მიმართ.

დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითადად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ეხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება,

როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანაზარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესითანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო დასახვამოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს

თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი უყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტიაერეცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების (განმარტებულიამე-19 შე-ნიშვნაში) ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო ხუთიწლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	81411.78	2820.63
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	178584.29	28368.16
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	283.07	215.06

დეპოზიტი აშშდოლარის ანგარიშზე		
უცხოურივალუტარეზიდენტბანკში/ევრო	56.57	46.26
უცხოურივალუტარეზიდენტბანკში/რუბლი		
ბარათიაშშდოლარი		
უცხოურივალუტარეზიდენტბანკში		
/ბრიტანულიგირვანუა		
სულ	260335.71	31450.11

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	182468,82	130923,14
საექვო მოთხოვნების რეზერვი		
სულ	182468,82	130923,14

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	17494,68	0
სულ	17494,68	0

8. მარაგები

მარაგების ნაშთები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
ნედლეული და მასალები	2174174,62	1539280,21
სხვა საწარმოო მარაგი		183,69
სულ	2174174,62	1539464,18

სულ

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არის 2106746 ლარი, ხოლო 2017 წლის 1 დეკემბრისთვის არის 1165924 ლარი.

9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები (დაზღვევა)	14590	10120
სულ	14590	10120

10. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	36261,56	33025
სულ	36261,56	33025

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შენიშნა- ნაგებობები 2130/2140	კავშირგაბმულობის სასუალებები 2155	ოფისის აღჭურვილობა 2160-2170,2190	სატრანსპორტოსაშუალებე 2180
თვითღირებულება				
31.12.2017	-	5634,07	12596,03	317270,84
შემოსვლა	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31. 12.2018	-	8173,90	14989,34	206400,84
შემოსვლა	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-
31.12.2017	-	(2690,91)	(7791,64)	(174446,91)
პერიოდის ცვეთა	-	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31.12.2018	-	(3916,76)	(9794,06)	(125317,80)
საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 31.12.2017	-	2943,16	4804,39	142823,93
ბალანსი 31.12.2018	-	4257,14	5195,28	81083

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის წლის
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1245091.62	517291,81
მიღებული ავანსები	2420	13572,50
იჯარის ვალდებულებები	8480	18528,00
სულ	1255991,62	549392,31

ფინანსური იჯარის ვალდებულება კომპანიას არ აქვს.

13. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	25752.27	22045.21
სულ	25752.27	22045.21

14. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი

კომპანიას ბანკის ოვერდრაფტი და სესხები არ გააჩნია.

15. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები კომპანიას არ აქვს

16. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება- გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება - გასამრჯელო ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის კომპანიას არ აქვს.

17. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების დარიცხვის აუცილებლობა კომპანიას არ წარმოშობია.

18. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2018	31 დეკ. 2017
დამფუძნებლების კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	1493749.57	1261156.23
სულ	1493749.57	1261156.23

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2011 წლის 06 თებერვალს, საწყისდებო კაპიტალით 200 ლარი.

19. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	2782844,15	1764665,57

სხვა შემოსავლები	44200,54	5226,66
სულ	2827044.69	2769892.23

20. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2018 და 2017 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	204370	157462,50
სულ	204370	157462,50

21. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2018 და 2017 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	(139028,62)	(184929,4)
სულ	(139028,62)	(184929,4)

22. იჯარის ხარჯი

იჯარის ხარჯი 2018 და 2017 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
თვითმფრინავის იჯარა		
ოფისის იჯარა	(23400)	(7200)
სულ	(23400)	(7200)

23. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2018 და 2017 წლების

მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
კომუნიკაციის ხარჯი	(265,51)	(37,00)
კომუნალური ხარჯები	(-)	(-)
სხვა მიწოდების ხარჯები	(-)	(-)
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	(-)	(-)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(-)	(-)
ოფისის ხარჯები	(158,66)	(122,88)
დაზღვევა	(14590)	(10120)
არარეზიდენტის სამემოსავლო გადასახადი	(-)	(-)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(1746,98)	(1711,66)
ნავიგაციის ხარჯი	(-)	(-)
აეროპორტების მომსახ. ხარჯი	(-)	(-)
საფოსტო ხარჯი	(-)	(-)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(-)	(-)
საკონსულტაციო ხარჯი	(-)	(-)
საფრენოსნო ინფ. დამუშავების ხარჯი	(-)	(-)
პერსონალის ტრენინგის ხარჯი	(-)	(-)
sita-ს ხარჯი	(-)	(-)
პერსონალის სამედიცინო მომსახ. ხარჯი	(-)	-
კომპიუტერული მომსახ. ხარჯი	(68,60)	(148,31)
მანქანების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(8002,93)	(14308,67)
ნაწილების მოძიების საიტის მომსახურება/ნავიგაციის ბაზების განახლება-წლიური მომსახ.	(-)	(-)
მივლინების ხარჯები	(10093,80)	(-)
სხვა საწარმოო ხარჯი	(-)	(-)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1603,14)	(-)
სულ	(36529,62)	(26448,52)

24. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2018 და წლების
მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
დადებითი საკურსო სხვაობა	1435,06	3729,87
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(137391,81)	(50783,99)
სულ	(135956,75)	(47054,12)

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ

პერიოდში არ ფიქსირდება.

26. ფინანსური ანგარიშები დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა
გასცა 2019 წლის 19 სექტემბერს



A handwritten signature in blue ink, appearing to be "გიორგი" (Giorgi) followed by a stylized flourish.